ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 93
(კომპიუტერული ტექნიკის შეკეთებაზე)

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2011 წლის " 12 " " სექტემბერი " ქ. ფოთი

შემსყიდველი - ს.ს.ი.პ. საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური
წარმოდგენილი საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის დირექტორი რევაზ ბაბილუას სახით,

მისამართი: ქ. ფოთი, დიმიტრი თავდადებულის ქ. № 93, ტელეფონი 8(293) 7 84 05.

საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი" ბ/კ BAGAGE22; ა/ა 33029813505012240000. ბანკი "რესპუბლიკა" ბანკის კოდი: REPLGE22. ა/ა GE79BR0000010642770612. ს/კ 215082764

მისამართი: ქ. ფოთი, დიმიტრი თავდადებულის ქ. № 93, ტელეფონი 8(293) 7 84 05.

საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი" ქ. თბილისი ბ/კ 220101502; ა/№33029813505012240000 ს/კ 215082764. ს.ს. ბანკ. " რესპუბლიკის" ცენტრალური ფილიალი. ბ/კ 220101757. ა/ა 10642770612

მიმწოდებელი - ი.მ თენგიზ წულაია

მისამართი, ტელეფონი - ქ. ფოთი, კოსტავას ქ. №3.

საბანკო რეკვიზიტები - სს „საქართველოს ბანკი" კოდი: BAGAGE22, ა/ა № GE49BG0000000892698300.

ერთის მხრივ - **შემსყიდველი**, და მეორეს მხრივ – **მიმწოდებელი**, ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1 ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი

1.1 შემსრულებელი იღებს ვალდებულებას, ამ ხელშეკრულების პირობებით, შეაკეთოს ს.ს.ი.პ. "საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური"-ს ბალანსზე რიცხული პრინტერი, კერძოდ:

№	CPV	მომსახურეობის დასახელება	რაოდენობა				
				განზ ერთეული	ტექნიკის დასახ.	ფასი	თანხა
1	50321000	პრინტერი 1020 HP-შეკეთება	1	ც	პრინტერი 1020 HP	70.00	70.00
		სულ:					70.00

1.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს შემსრულებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში და ფორმით.

2. ხელშეკრულების ფასი

2.1 **ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა:**

70.00 (სამოცდაათი) ლარი
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

2.2 გაწეული მომსახურების საერთო ღირებულება შეიცავს შემსრულებლის ყველა ხარჯებს, დაკავშირებულს მომსახურების გაწევასთან, აგრეთვე კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3 მომსახურეობის გაწევის ვადები

3.1 მომსახურეობის გაწევა შესაძლებელია 2011 წლის 12 სექტემბრიდან 2011 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

4 მომსახურეობის მიღება ჩაბარების წესი

4.1 გაწეული მომსახურეობის ჩაითვლება მიღებულად შესაბამისი მიღება ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. ხარისხი

5.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურეობის მომსახურეობის ხარისხზე ერთი თვის განმავლობაში და თუ ამ პერიოდში აღმოჩნდება უხარისხო (წუნდებული) საქონელი მიმწოდებელი ვალდებულია ხელახლა გასწიოს მომსახურეობა ან დაუბრუნოს შემსყიდველს მისი ღირებულება.

6 ანგარიშსწორების ფორმა.

6.1 „შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას გადაუხადოს „მიმწოდებელს" ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ანაზღაურება უნაღდო ანგარიშსწორებით, გაწეული მომსახურეობის მიღება ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადების წარმოდგენის შემდეგ 10 დღის ვადაში.
ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი.
გადახდის ფორმა: გადარიცხვა "მომწოდებლის" საბანკო ანგარიშზე.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1 "მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას:
დროულად უზრუნველყოს შესყიდული მომსახურეობის გაწევა.
"შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას:
7.2 გადაუხადოს "მიმწოდებელს" შესყიდული მომსახურეობის საფასური, ანგარიშ-ფაქტურის, სასაქონლო ზედნადების და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

8.1 "შემსყიდველი" უფლებამოსილია შესასრულებელი მომსახურეობის ამ ხელშეკრულებაში მითითებული ვადების გადაცილების შემთხვევაში დააკისროს "მიმწოდებელს" პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1 % პროცენტის ოდენობით.

8.2 გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში "მიმწოდებელი" უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,1 %-ის ოდენობით.
8.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 % (ორ) პროცენტს, "შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც

ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის და/ან შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10 ხელშეკრულების პირობების მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შეთანხმების გარდა.

10..2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10..3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2011 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1 "შემსყიდველმა" და "მიმწოდებელმა" ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში "შემსყიდველი" და "მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების კონტროლი

13.1. "შემსყიდველი" უფლებამოსილია გაწეული მომსახურეობის პარალელურად მოახდინოს მიღებული მომსახურეობის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ "შემსყიდველი" დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს "მიმწოდებელს" დაწუნებული საქონლის ან შესრულებული სამუშაოს რაოდენობის, მოცულობას, წუნდების მიზეზების მითითებით. და შესაბამისად "მიმწოდებელი" ვალდებულია თავისივე ხარჯებით შეცვალოს წუნდებული საქონელი ან დაუბრუნოს "შემსყიდველს" გადახდილი თანხა.

13.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება "მიმწოდებელს" საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

14.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

14.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

15.1 "შემსყიდველს" შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, "მიმწოდებლისათვის" ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ "მიმწოდებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან "შემსყიდველის" მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ "მიმწოდებელს" არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

15.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს "მიმწოდებელს" დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.3 "შემსყიდველს" შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ "შემსყიდველისათვის" ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) "მიმწოდებლის" გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში "შემსყიდველი" ვალდებულია აუნაზღაუროს "მიმწოდებელს" ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

16. გამოყენებული სამართალი

16.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და განხილული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

17. ხელშეკრულების ენა

17.1 ხელშეკრულება დადებულია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, ორივეს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

18. უფლებების გადაცემა

18.1 "მიმწოდებელმა" "შემსყიდველის" წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

19. ხელშეკრულების დადების საფუძველი

19.1 ხელშეკრულების საფუძველია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის გ) ქვეპუნქტი და თ) ქვეპუნქტი.

"შ ე მ ს ყ ი დ ვ ე ლ ი"	"მ ი მ წ ო დ ე ბ ე ლ ი"
საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის დირექტორი:	ი/მ. თენგიზ წულაია
/რ. ბაბილუა	/თ. წულაია